საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030175095051417

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/35898 **05 / ივნისი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციისა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N197 დადგენილების საფუძველზე, მიმდინარე წლის 1 ივნისიდან სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტი (11 საშტატო ერთეული) სამინისტროს აპარატიდან გადავიდა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრში. შესაბამისად, საჭიროა „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების მართვის“ პროგრამის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ასიგნების ზრდა „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვის“ პროგრამის ამავე მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი ნოე ქინქლაძე